

მიხეილ ქურდიანი

ენობრივი ნიშნის მორფომატული თეორია

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 1972 წელს სტატიაში „ენობრივი ნიშნის „ნებისმიერობის“ პრობლემისათვის“ წერდა:

„ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა შედარებითი ენათმეცნიერებისა და საერთოდ თეორიული ლინგვისტიკისა არის ენობრივი ნიშნის პრობლემა“ (გამყრელიძე 1972 : 33).

უდავოდ ანგარიშგასაწევი დებულებაა, მით უმეტეს — იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი კვლევის თვალსაზრისით, რადგან ერთ-ერთ დაბრკოლებად და თანაც სერიოზულ დაბრკოლებად, ვნებავთ — ხარვეზად, ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისას სწორედ ენობრივი ნიშნის პრობლემისადმი არასათანადო ყურადღება უნდა იქნეს მიჩნეული.

გარდა ამისა, ლინგვისტიკის განვითარებისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ტერმინ „ენობრივი ნიშნის“ არაცალსახა დეფინაცია თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებაში და, შესაბამისად, მისი რაობისადმი მიდგომათა თუ თვალსაზრისთა შეუწყნარებელი შინაგანი წინააღმდეგობრიობა; ეს ეხება ენობრივი ნიშნის როგორც სემიოტიკურ, ასევე კომუნიკაციურ (resp. იერარქიულ) ე. წ. სამგანზომილებიან მოდელსაც.


ქვემოთ მე ვეცდები, შეძლებისდაგვარად ერთმნიშვნელოვნად და მწყობრად ჩამოვყალიბო ჩემი თვალსაზრისი ორივე ამ საკითხზე.

1.1. ენობრივი ნიშნის რაობისათვის.


როდესაც ფერდინანდ დე სოსიურმა შემოიტანა ცნება ენობრივი ნიშნისა და განაცხადა, რომ „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანსა და მის სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხატს“ (სოსიური 1977 : 99), იქვე განმარტა: „ენის სიტყვები ჩვენთვის არის აკუსტიკური ხატები...“ (სოსიური 1977 : 99).

სოსიური ასე ავითარებდა თავის აზრს:

„ენობრივი ნიშანი არის, ამგვარად, ორმხრივი ფსიქიკური რაობა, რომელიც შეიძლება გამოისახოს ასეთი სახით:



ორივე ეს ელემენტი უმჭიდროესად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ისინი გულისხმობენ ერთიმეორეს. ვექებთ აზრს ლათინური სიტყვისა **arbor**, თუ პირიქით, სიტყვას, რომლითაც რომელია აღნიშნავდა ცნებას „ხე“, ცხადია, რომ მხოლოდ ამ ტიპის




შეპირისპირებანი მიგვაჩნია რეალობის შესატყვისად, და ჩვენ უკუვადგებთ ყველა სხვა დაკავშირებას, რომელიც შეიძლება გაჩნდეს წარმოსახვაში“ (სოსიური 1977 : 99-100).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ თეორიის საფუძვლები ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ვიღაცემ ფონ ჰუმბოლდტთან, რომელიც წერდა: „სიტყვებად გაგებულ უნდა იქნენ ცალკეულ ცნებათა ნიშნები. სიტყვაში ყოველთვის ჰგებებს ორმაგი ერთობა — ბგერისა და ცნების“ (ჰუმბოლდტი 1984 : 90).

ენობრივი ნიშნის სოსიურისეული დეფინიციის პრობლემატურობა უკვე ამ ეტაპზე იჩენს თავს: თუ ენობრივი ნიშანი ცნებისა და აკუსტიკური ხატის განუყოფელ ერთიანობას გულისხმობს, ხოლო აკუსტიკური ხატი, თავის მხრივ, უდრის სიტყვას, არის თუ არა ეს სიტყვა ფორმაცვალებადი და იწვევს თუ არა სიტყვის ფორმაცვალება აკუსტიკური ხატის ცვლილებასაც ცნების უცვლელობის პირობებში?

იმ ენებში, სადაც მხოლოდ ფორმაუცვლელი სიტყვებია, მაგ., ჩინურში, ეს პრობლემა არ დგება; რაკი იქ სიტყვა ფორმაუცვლელია, შესაბამისად, ცნებისა და აკუსტიკური ხატის ურთიერთმიმართებაც — მუდმივია:



მაგრამ იქ, სადაც ბრუნების განვითარებული სისტემა არსებობს, აკუსტიკური ხატი ცვალებადია სწორედ აკუსტიკური თვალსაზრისით, ანუ სიტყვა (აღმნიშვნელი) იცვლის ფორმას, ცნება (აღსანიშნი) კი უცვლელი რჩება, ყოველთვის ერთი და იგივეა. მაგ.:

ქართული

სახელობითი

მოთხრობითი

ხე

ხე-მ

მიცემითი	ხე-ს
ნათესაობითი	ხი-ს
მოქმედებითი	ხი-თ
ვითარებითი	ხე-დ
წოდებითი	ხე-ვ ხე-ო

დიდი გაბედულებაა საჭირო იმის სათქმელად, რომ **ხე** და **ხის** ან **ხით** ერთი და იგივე აკუსტიკური ხატია, ან რომ ცნებას „ხე“ მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმა, ანუ მხოლოდ ეს აკუსტიკური ხატი აღნიშნავს.

ფორმატუცვლელი (*resp.* აკუსტიკურ ხატუცვლელი) არც ხის ცნების აღმნიშვნელი ლათინური სიტყვაა — *arbor*:

ნომინატივი	<i>arbor</i>
გენეტივი	<i>arbor-is</i>
დატივი	<i>arbor-i</i>
აკუსტიკური	<i>arbor-em</i>
აბლატივი	<i>arbor-e</i>
ვოკატივი	<i>arbor</i>

არადა სწორედ ეს ლათინური სიტყვა დაიმოწმა ფერდინანდ დე სოსიურმა, როდესაც აღსანიშნისა (*resp.* ცნებისა) და აღმნიშვნელის (*resp.* აკუსტიკური ხატის) ურღვევ კავშირს ასაბუთებდა.

როგორ მოხდა, რომ სოსიურმა უგულვებელყო ფორმის, ანუ აკუსტიკური ხატის ცვალებადობა?

აქ ანგარიშში ჩასადები არ არის სოსიურის ფრაზა: „სწორედ იმიტომ, რომ ენის სიტყვები წარმოადგენენ ჩვენთვის აკუსტიკურ ხატებს, არ ეგების მათ შემადგენელ „ფონემებზე“ ლაპარაკი“ (სოსიური 1977 : 99), რადგან აქ ერთი ფორმის შემადგენელი ფონემები იგულისხმება და არა განსხვავება ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმის შემადგენელ ფონემებს შორის.

როგორ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ერთი შეხედვით, ამ ფაქტის ჩემული ახსნა, მაინც დარწმუნებით უნდა განვაცხადო, რომ მიზეზი ფერდინანდ დე სოსიურის მშობლიურ — ფრანგულ ენაშია პოზიციური.

ფრანგულ ენას ბრუნვები, ბრუნვის პარადიგმა არ გააჩნია.

ჰუმბოლდტის თანახმად, ადამიანი ენობრივი არსებაა, ის ცხოვრობს მისი ენით აგებულ სამყაროში და „აზროვნება დამოკიდებულია არა უბრალოდ ენაზე ზოგადად — ის გარკვეულად გაპირობებულია აგრეთვე ყოველი ცალკეული ენით“ (ჰუმბოლდტი 1984 : 317).

ამ შემთხვევაში ის კონკრეტული ენა, რომელმაც განაპირობა სოსიურის აზროვნება, იყო ფრანგული.

ფერდინანდ დე სოსიური ცხოვრობდა იმ ენით აგებულ სამყაროში, სადაც ცნება და აკუსტიკური ხატი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული არა მხოლოდ ურღვევად, არამედ უცვლელადაც (იგულისხმება უცვლელი აკუსტიკური ხატი) და ეს იმდენად განაპირობებდა სოსიურის აზროვნებას, რომ, თუმცა მას თვალსაჩინოებისათვის მოჰქონდა არა ფრანგული — *arbre* „ხე“, არამედ ლა-

თინური **arbor**, რომელსაც ბრუნების ექვსწევრიანი პარადიგმა ჰქონდა, იგი ქვეცნობიერად ფრანგულ ფორმაუცვლელ, უბრუნველ სახელს გულისხმობდა, როდესაც ცნებისა და აკუსტიკური ხატის ურღვევ ერთიანობაზე ესოდენ კატეგორიულად მსჯელობდა.

აკუსტიკური ხატის ცვალებადობა რომ ანგარიშგასაწევი მოვლენაა, ეს კარგად ჩანს იბერიულ-კავკასიური ენების მაგალითზეც, სადაც ე. წ. ძირითადი ბრუნვების გარდა არსებობს აგრეთვე ლოკატიური (თანდებულისანი) ბრუნვებიც (თვით ძირითად ბრუნვებში ორფუძიანობის პრინციპის მხედველობაში მიუღებლად), სადაც აკუსტიკური ხატი მნიშვნელოვან ტრანფორმაციებს განიცდის. მაგ.:

უდიური

სახელობითი	ხოდ „ხე
მოთხრობითი (ერგატივი)	ხოდ-როლონ
ნათესაობითი	ხოდ-როლონ ^დ
მიცემითი	ხოდ-როლონ ^ხ
აბლატივ-ინსტრუმენტალისი	ხოდ-როლოხო
კომიტატივი	ხოდ-როლოხოლან
ინესივ-ადესივი	ხოდ-როლოსტა
ალატივი	ხოდ-როლოჰ
სუპერესივი	ხოდ-როლოლ
კაუზატივი	ხოდ-როლონკ ^{ენა}

კიდევ უფრო მნიშვნელოვანმა ფორმათცვლილებებმა შეიძლება იჩინონ თავი იმავე უდიურში სხვა აკუსტიკური ხატების შემთხვევაში; საილუსტრაციოდ მოვიტან მხოლოდ ე. წ. ძირითადი ბრუნვების ჩვენებებს:

სახ.	ბულ „თავი“
მოთხ.	ბ-ინ
ნათ.	ბ-ინ
მიც.	ბ-ენ^ხ

ბულ, **ბინ** და **ბენ** ერთი და იგივე აკუსტიკური ხატი რომ არ არის, სადავო არ უნდა იყოს, თუმცა ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავენ და ერთი და იმავე სიტყვის ფლექსიას (ფლექსიური პარადიგმის წევრებს) წარმოადგენენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცნებისა და აკუსტიკური ხატის ურთიერთმიმართების სოსიურისეული ინტერპრეტაცია რევიზიას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ასეთი რევიზიისთვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტებიც მოიპოვება.

სოსიური ამგვარად აგრძელებს მსჯელობას:

„ჩვენ გთავაზობთ შევინარჩუნოთ სიტყვა *ნიშანი* მთელის აღსანიშნავად და

ჩავანაცვლოთ ტერმინები *ცნება* და *აკუსტიკური ხატი*, შესაბამისად, ტერმინებით *აღსანიშნი* და *აღმნიშვნელი*; უკანასკნელ ორ ტერმინს აქვს ის უპირატესობა, რომ აღნიშნავენ დაპირისპირებას, არსებულს როგორც თავად მათ შორის, ასევე მთელსა და მთელის ნაწილებს შორის“ (სოსიური 1977 : 100).

ახლა დავსვათ კითხვა: რა არის აღსანიშნი და რა არის აღმნიშვნელი ენაში?

სოსიურის მიხედვით, აღსანიშნი არის **ცნება**, ხოლო აღმნიშვნელი **აკუსტიკური ხატი** ანუ **სიტყვა**. მათი ერთიანობა კი წარმოადგენს **ენობრივ ნიშანს**.

მე კი მიმაჩნია, რომ აღსანიშნი არის **მნიშვნელობა** ანუ **სემანტიკა**, ხოლო აღმნიშვნელი არის **მორფემა**. მათი ერთიანობა კი წარმოადგენს **ენობრივ ნიშანს**.

არსებობს თეორიული თვალსაზრისი, რომლის თანახმად, საკითხის ჩემ მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა, მეტიც, დაყენებაც კი შეუწყნარებელია:

„ნიშნის სისრულე დამოკიდებულია ნიშნის უნარზე, შეასრულოს *კომუნიკაციური ფუნქცია*. მაგრამ კომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც გამოკვეთილად მხოლოდ სრულ ნიშანს ახასიათებს, არ არის ნიშნის ერთადერთი ფუნქცია — ამ ფუნქციას საფუძვლად უდევს რეფერენტული ფუნქცია, ანუ ნიშნის უნარი, ჰქონდეს სიგნიფიკატი და დენოტატი. ნიშნის უნარს, დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ეწოდება *ნომინაციური ფუნქცია*; ე. ი. ნიშანი არსებობს და ფუნქციონირებს ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობების საფუძველზე“ (ლებანიძე 1997).

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

„მორფემას „ჯერ კიდევ“ არა აქვს უნარი, იქონიოს ბევრად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი რეფერენტი. პირობითად მორფემას შეიძლება ვუწოდოთ „კვაზინიშანი“. სხვანაირად რომ ვთქვათ, მორფემას აქვს სემანტიკა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს ნომინაციის ფუნქციას“ (ლებანიძე 1997).

წარმოდგენილი თვალსაზრისი წინააღმდეგობაშია ნიშნის არა მარტო სოსიურისეულ დეფინიციასთან, კერძოდ, მის დებულებასთან, რომ „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა ნივთს და მის სახელწოდებას, არამედ ცნებას და აკუსტიკურ ხატს“ (სოსიური 1977 : 99). განცხადება: „ნიშნის უნარს, დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ეწოდება **ნომინაციური ფუნქცია**“, ნიშნავს, რომ ნიშნის დეფინიციის კვლავ შემოტანილია კავშირი ნივთსა (*resp.* საგანს, მოვლენას, ხდომილებასა) და მის სახელწოდებას შორის, ამჯერად — როგორც მისი ნომინაციური ფუნქცია (არაფერს ვამბობ ტერმინ „ასახოს“ გამოყენებაზე „აღნიშნოს“ ნაცვლად, რაც უეჭველად კალმისმიერი ცთომილებაა), შესაბამისად, მორფემა თუ **ვერ** (უფრო სწორად — **არ**) ასრულებს ნომინაციის ფუნქციას, ეს არ არის საკმარისი მისი გამოცხადებისთვის „კვაზინიშნად“, რადგან ნომინაციის ფუნქცია ენობრივი ნიშნისათვის არის არა **რელევანტური** ანუ არსებითი, არამედ — **ჭარბი**.

წარმოდგენილი თვალსაზრისი წინააღმდეგობაშია აგრეთვე ნიშნის დეფინიციასთან საკუთრივ კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციიდან. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში — ანუ ლინგვისტური სინთეზის დონეზე — ენობრივი

ნიშანი მართლაც სიტყვაა (შემდეგ — წინადადება და ბოლოს — ტექსტი), მაგრამ არა იმიტომ, რომ მას აქვს უნარი დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ანუ აქვს ნომინაციის ფუნქცია (იხ. ქვემოთ შენიშვნა დამხმარე სიტყვასთან დაკავშირებით), არამედ იმიტომ, რომ ის **საკომუნიკაციო ერთეულია**, საწყისი ერთეული: პირველი და ნამდვილი (resp. სრული) **ნიშანი**.

მორფემა კი ლინგვისტური ანალიზის ერთეულია და სინთეზის დონეზე, ანუ კომუნიკაციის აქტში, დამოუკიდებლად, არაკომბინირებული სახით, არ მონაწილეობს; შესაბამისად, კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მსჯელობა მორფემაზე როგორც ნიშანზე (დადებითი თუ უარყოფითი თვალსაზრისით) არაკორექტულია, რადგან ის კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთეული არ არის.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ასეთი მიდგომა მიჩნეულია სოსიურისეული ე. წ. სემიოტიკური ლინგვისტური იმანენტიზმის გადალახვად და, შესაბამისად, ახალ ეტაპად ნიშნის თეორიის განვითარებაში. სოსიურისეული იმანენტიზმის ქვეშ ჩვეულებრივ იგულისხმება ის საყოველთაოდ გახმაურებული ფრანზა რომლითაც სრულდება „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“:

„ლინგვისტიკის ერთადერთ ჭეშმარიტ ობიექტს წარმოადგენს ენა, განხილვადი თავის თავში და თავისთვის“ (სოსიური 1977 : 268).

თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო, რომ ენობრივი ნიშნის ნებისმიერი თეორია უნდა აკმაყოფილებდეს ლინგვისტური იმანენტიზმის მოთხოვნებს (იქნება ეს სემიოტიკური ლინგვისტიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა თუ სხვ.) და ასეც არის. ქვემოთ, როდესაც მსჯელობა მექნება ენობრივი ნიშნის სემიოტიკური იერარქიის შესახებ, საგანგებოდ აღარ აღვნიშნავ იმას, რომ ჩემთვის ეს თეორია ლინგვისტური იმანენტიზმის ორი თვალსაზრისის გადაკვეთაზეა განფენილი — სოსიურისეულისა (resp. სემიოტიკურისა) და ჰუმბოლდტი-სეულის (resp. ანთროპოცენტრულის) და არაწინააღმდეგობრივ ხაისათს ატარებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციურ ლინგვისტიკას აქვს საკუთარი ლინგვისტური (კომუნიკაციურ-ლინგვისტური) იმანენტიზმი და ნიშნის ე. წ. სამგანზომილებიანი თეორია მის მიმართ არაწინააღმდეგობრივია და მხოლოდ მის ფარგლებში აქვს თავისი *raison d'être*. კომუნიკაციური ლინგვისტიკა ლინგვისტიკის სინთეზური დონის დარგია ხოლო სოსიურისეული ლინგვისტიკა ე. წ. სემიოტიკური ლინგვისტიკის ანალიზურ დონეს განეკუთვნება; ამდენად, ლინგვისტიკის ამ ორ დარგს შორის არსებობს ტერმინთა გარდაუვალი და აუცილებელი, მეტიც, სავალდებულო შეუსაბამობა. ამაზე ქვემოთ საგანგებოდ მექნება მსჯელობა. აქ კი დამატებით ვიტყვი, სიტყვის — როგორც ნიშნის — განსაზღვრისათვის ნომინაციური ფუნქციის საკმარისობის შესახებ თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციიდან.

ზემოთ მოხსნილ იქნა მორფემის ნიშნად თუ „კვაზინიშნად“ მიჩნევისა და განხილვის პრობლემა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, მისივე საკუთარი იმანენტიზმის პოზიციიდან, ახლა რაც შეეხება იმ დებულებას, თითქოს „მორფემას „ჯერ კიდევ“ არა აქვს უნარი, იქონიოს ბევრად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი რეფერენტი“, ის კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციიდან შეუწყნარებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

1) *რეფერენტი* ლინგვისტიკაში გამოიყენება ტერმინ *დენოტატის* სინონიმად და ნიშნავს **აღსანიშნს**, უფრო ზუსტად, მის იმ ასპექტს, რომელიც ენის დონეზე მოიცავს ყველა იმ საგანსა თუ მოვლენას, რომლებიც რეალობაში (სინამდვილეში) შეესაბამებიან მოცემულ კონცეპტს, ანუ ადამიანის გარემომცველი სამყაროს იმ ცალკეულ ერთეულს, რომელზედაც პროეცირდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ენობრივი სტრუქტურა.

ასეთი კი შეიძლება იყოს ის, რისი აღნიშვნაც ხდება არა მარტო სიტყვით (*resp.* ლექსიკურად), არამედ მორფემებითაც (*resp.* გრამატიკულად); მაგ., სიმრავლე (რაოდენობა), სქესი, დრო და ა. შ.

2) *დამოუკიდებელი* ლინგვისტიკაში გამოიყენება ჩვეულებრივ სიტყვასთან (*sic*) მიმართებაში, როგორც ანტონიმი ტერმინისა *დამხმარე*.

საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, დამოუკიდებელ სიტყვებს აქვთ ნომინაციის ანუ სახელდების ფუნქცია, რასაც ისინი ცალ-ცალკე ასრულებენ და შეუძლიათ ცალკე გამონათქვამის შექმნა.

დამოუკიდებელი სიტყვების კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ: არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს, ზმნებს და ზმნიზედათა გარკვეულ ნაწილს.

დამხმარე სიტყვებს ნომინაციის ფუნქციის შესრულება, ამ თვალსაზრისის თანახმად, მხოლოდ დამოუკიდებელ სიტყვებთან ერთად შეუძლიათ და მათ გარეშე ვერ ქმნიან ცალკე გამონათქვამს.

დამხმარე სიტყვების კვალიფიკაცია ენიჭებათ: ნაწილაკებს, კავშირებს, არტიკლებს, წინდებულებსა და თანდებულებს.

რაც შეეხება სუბსტიტუტებს ანუ ნაცვალსახელებს და დეიქტურ სიტყვებს, მათ ამ საკლასიფიკაციო სისტემაში საბოლოო კვალიფიკაცია ჯერ კიდევ არა აქვთ მიცემული.

ამიტომ საკუთარი ამოსავალი დებულებების მიმართ წინააღმდეგობრივია მსჯელობა:

„სიტყვა არის იერარქიული თვალსაზრისით პირველი ერთეული, რომელსაც სრულად აქვს ნომინაციური ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვას ძალუძს დასახელოს სინამდვილის გარკვეული სეგმენტი (სუბსტანცია: საგანი, მოვლენა, თვისება...) და რამდენადმე ასახოს ამ სეგმენტის სტრუქტურა თავის საკუთარ სტრუქტურაში“ (ლებანიძე 1997 :).

თუ სიტყვები იყოფიან *დამოუკიდებლად* და *დამხმარედ* და მათგან დამხმარე სიტყვებს ნომინაციის ფუნქციის შესრულება მხოლოდ დამოუკიდებელ სიტყვებთან ერთად შეუძლიათ და ვერ ქმნიან ცალკე გამონათქვამს, გამოდის, რომ, ამ თვალსაზრისის ამოსავალი დებულებებიდან გამომდინარე, ყველა სიტყვა არ ყოფილა ნიშანი და, შესაბამისად, სიტყვის ცალსახად გამოცხადება ენობრივ ნიშნად კორექტულად ვერ ჩაითვლება.

ზემოთქმული უკვე საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ეჭვი იქნეს შეტანილი იმ კატეგორიული და პრინციპული პოზიციის სიმწყობრეში, რომელიც სწორედ ამ მახასიათებლის მიხედვით გამოირიცხავს მორფემის ნიშნად მიჩნევის შესაძლებლობას (აქ ტერმინ *მორფემას* ნიშნის აღსანიშნად ვიყენებ ენობრივი ნიშნის იერარქიული თეორიის თანახმად, სადაც მასში, ისევე როგორც ტერმინ *სიტყვაში*, იგულისხმება არა მხოლოდ აკუსტიკური ხატი, არამედ ცნებაც, ანუ

ალმნიშენელიც და აღსანიშნიც. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ მექნება მსჯელობა).

მაშასადამე, როდესაც პირველ სრულ ანუ ნამდვილ ნიშნად ცხადდება *სიტყვა*, რაკი მას აქვს „დამოუკიდებელი რეფერენტი“ ირკვევა, რომ ეს განცხადება ანგარიშს არ უწევს სიტყვის ზემოთმოყვანილ საკლასიფიკაციო სქემას, რომელიც სიტყვებს აძლევს დამოუკიდებელი და დამხმარე სიტყვების კვალიფიკაციას, ისევე როგორც არ უწევს ანგარიშს სიტყვის ფორმატცვალებას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ენობრივი ნიშნის თითოეულ დეფინიციას აქვს თავისი „მართებული არე“.

ტერმინი „მართებული არე“ ქართულ მეცნიერებაში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ და ეს ტერმინი აღნიშნავს ისეთ სემანტიკურ ველს ან კონტექსტს, სადაც რაიმე ოდენობას (სიტყვას, საგანს, ხდომილებას...) ცალსახა, ერთადერთი, მხოლოდ *ad hoc* მართებული, რელევანტური და არაინტერპრეტირებადი მნიშვნელობა აქვს.

ტერმინი „ნიშანი“ კი კომუნიკაციურ და სემიოტიკურ (*resp.* კომპარატივისტულ) ლინგვისტიკაში სულაც არ ნიშნავს ერთსა და იმავეს. ისევე როგორც ტერმინი „ენა“ სხვადასხვა შინაარსის შემცველია, ვთქვათ, თეორიულ ლინგვისტიკაში, შედარებით ენათმეცნიერებასა (*resp.* კომპარატივისტიკასა) და სოციოლინგვისტიკაში — პირველში ის დანაწევრებული ბგერებით გამოხატული ნიშანთა სისტემაა, რომელსაც აქვს საკომუნიკაციო და ამგები ფუნქციები; მეორეში განისაზღვრება მონათესავე ენობრივ ერთეულთა მიმართ ბგერათშესატყვისობათა საკუთარი სისტემის (*resp.* პარადიგმის) მქონებლობით, მესამეში კი საზოგადოებაში ფუნქციონირების სტატუსის მიხედვით.

ერთი სამეცნიერო დისციპლინის ანუ მართებული არის შიგნით ტერმინს არ შეიძლება ჰქონდეს პოლისემიური მნიშვნელობა, ხოლო ორ სამეცნიერო დისციპლინას, მით უმეტეს, ორ სხვადასხვა მეცნიერებას (*resp.* მართებულ არეს) შორის ტერმინს არ შეიძლება, ან, უფრო ზუსტად, არ უნდა ჰქონდეს სინონიმური მნიშვნელობა.

მანანა ჭირაქაძის თანახმად: „...ტერმინი, ლექსემის იმ მრავალი მნიშვნელობიდან, რაც მის შინაგან ფორმას შეადგენს, მიემარება ერთს (უმეტეს შემთხვევაში — ახლად შექმნილი ცნების აღმნიშვნელს), რომელიც ღირებულებას იძენს მნიშვნელობათა მხოლოდ ერთ სისტემაში, ერთ დარგობრივ კონტექსტში. ამ კონტექსტის მიღმა სიტყვა კარგავს თავის ტერმინულ მნიშვნელობას და იქცევა ლექსემად“ (ჭირაქაძე 1995 : 35).


შესაბამისად: ტერმინის ჭეშმარიტი შინაარსი ამოცნობადია მხოლოდ მისი *ad hoc* მართებული არის მიხედვით.

კომუნიკაციური ლინგვისტიკა და სემიოტიკური (*resp.* კომპარატივისტული) ლინგვისტიკა კი სწორედ ორი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა ანუ სხვადასხვა მართებული არეა — შესაბამისად, ტერმინ **ნიშანი**-ს დეფინიცია მათ განსხვავებული აქვთ და ამ დიფერენციაციის გაუთვალისწინებლობა მსჯელობას არაკორექტულ ხასიათს ანიჭებს, რადგან რეალურად საქმე ეხება არა სხვადასხვა თვალსაზრისებს ერთისა და იმავეს შესახებ, არამედ სხვადასხვა სისტემის ელემენტთა შიდასისტემური ღირებულების დადგენას.

ზოგადი (*resp.* სემიოტიკური, კომპარატივისტული) ლინგვისტიკის მართებულ არეში — ნიშანი მორფემაა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს კლასიფიკაცია და კვალიფიკაციები არ წარმოადგენენ უნივერსალებს. რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვი, არის ენები, მაგ. ჩინური, რომლის მიმართაც წარმოდგენილი სქემა არც კორექტულია და არც ადეკვატური.

მეორეც, იმ ენებში, სადაც სიტყვათა ფორმაცვალება გვაქვს, ჩვეულებრივია (და არა უნივერსალური) შემდეგი მოდელი:



ფორმაცვალებადი სიტყვებიდან ყველაფერი, რაც იბრუნვის — სახელია, ყველაფერი, რაც იუღვლის — ზმნა (შესაბამისად, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული, ტერმინი **სახელზმნა** ნონსენსია როგორც ქართველური, ასევე სხვა ისეთი ტიპის ენებისთვის, სადაც არ მოიპოვება ენობრივი ერთეული, რომელიც ერთდროულად იქნებოდა როგორც ბრუნების, ასევე უღვლილების პარადიგმის წევრი); მაგრამ რაკი ბრუნებაც და უღვლილებაც მხოლოდ ფორმაცვალებაა და არა სიტყვაცვალება, ბრუნებისა თუ უღვლილების პარადიგმათა რომელი აკუსტიკური ხაზით განსხვავებული ერთეული უნდა იქნეს მიჩნეული რეფერენტად? ეს განსაკუთრებით ეხება ზმნას, რადგან ის განსხვავებით სახელისაგან, რომელსაც შეიძლება წრფელობითი ბრუნვა ჰქონდეს, გაუფორმებლად პოზიციური არასოდეს იქნება უღვლილების პარადიგმაში.

ბრუნების მაგალითი ზემოთ მოვიყვანე; ახლა ზმნის პარადიგმას მივმართოთ; მაგ. უდიურის **ბესუნ** „კეთება“ ზმნის უღვლების სურათს მხოლოდობითი რიცხვის პირველ პირში:

აწმყო	ბეს-ა-ზ ^რ უ ¹
ნამყო-უსრული	ბეს-ა-ზუ-ფ
აორისტი I	ბი-ზ- ^რ უ ¹
აორისტი II	ბე-ზ- ^რ უ ¹
გარდასული	ბე-ზუ-ფ
მყოფადი	ბ-ალ-ზუ

ეს ხომ სხვადასხვა სიტყვა არ არის, ეს ერთი სიტყვის ფორმაცვალებაა უღვლილების პარადიგმაში.

რა არის აღსანიშნავი (რეფერენტი ანუ დენოტატი) გასაგებია — „კეთება“ ცნება უცვლელია, მაგრამ რომელია აღმნიშვნელი (სიგნიფიკატი), მაგ. **ბესუნ** თუ **ბალზუ?**

იბერიულ-კავკასიურ ენებში უღვლილების სხვადასხვა ტიპი არსებობს: კლასოვანი (ჩეჩნურ-ინგუშურ და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში); კლასოვან-პიროვანი (ბაცურში და ლაკურ-დარგულსა და თაბასარანულ ენებში); პიროვანი (ქართველურ ენებში, ბასკურში, ადიღურ ენებსა და უდიურში); არის პირისა და კლასის მიხედვით ფორმაუცვლელი ზმნაც (ლეზგიურსა და ალულურში) (ჩიქობავა 1979 : 162-184); მაგრამ, როგორც ვთქვი, ამ ენებში არ არსებობს საერთოდ ფორმაუცვლელი ზმნა; შესაბამისად, „დამოუკიდებელი სიტყვა“ (ამ შემთხვევაში ზმნა) სახელდება ანუ ნომინაციას ახდენს არა ერთი აკუსტიკური ხაზით (*resp.* ფორმით), არამედ რამდენიმეთი.

აქედან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სიტყვა წარმოადგენს კომბინაციას ძირეული და აფიქსალური მორფემებისას, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი დამოუკიდებელი რეფერენტი.

ამ შემთხვევაში (*ad hoc*) ტერმინი **დამოუკიდებელი** უნდა გავიგოთ შემდეგი მნიშვნელობით — ცალკე, გნებავთ საკუთარი და მუდმივი რეფერენტი, რომელიც არ არის დამოკიდებული კომბინაციაში შემავალი სხვა მორფემების რეფერენტზე (აქ არ არის ლაპარაკი კომბინაციის ფორმალურ წესებზე).

როცა ვლაპარაკობ, არ არის დამოკიდებული — მეთქი, ვგულისხმობ იმას, რომ რეფერენტთა გარკვეულ ტიპებს შეიძლება განსხვავებული კომბინაციებიც ჰქონდეთ, მაგ., თუ ენაში არის განსხვავება მაგ., სულიერსა და უსულოს (*resp.* პიროვნებასა და არაპიროვნებას), განსაზღვრულისა და განუსაზღვრელის და ა. შ. ცნებათა შორის, მათ განსხვავებული პარადიგმები ექნებათ და, ცხადია, შეზღუდული კომბინაციებიც გარკვეული აკრძალვებით, მაგრამ თვითონ კომბინაციებში შემავალი ძირეული და აფიქსალური მორფემები არ იქნება ერთმანეთზე დამოკიდებული. ვთქვათ, ენა ასხვავებს გრამატიკულ კლასებს, მაგ. ხუნძური (მხოლოდობითში):

- I კლასი (მამაკაცი. ვინ-კლასი) **ვ-**
- II კლასი (ქალი. ვინ-კლასი) **ფ-**
- III კლასი (და სხვა. რა-კლასი) **ბ-**

გვექნება:

- I **ვ-**ას **ვ-**უგო „ვაყიშვილი არის“ („ძეა“)
- II **ფ-**ას **ფ-**იგო „ქალიშვილი არის“ („ასულია“)
- III **ბ-**ას **ბ-**უგო „ნაშიერი (ცხოველისა) არის“

ვ, ფ და **ბ** აფიქსალური მორფემები ყოველთვის იქნება აღმნიშვნელი შესაბამისი კლასის და არ იქნება დამოკიდებული ძირეული მორფემის რეფერენტზე და პირიქით. მაგ.:

- I. **ვ-**აცუ **ვ-**უგო „ძმა არის“ („ძმაა“)
- II. **ფ-**აცუ **ფ-**იგო „და არის“ („დაა“)
- III. **ბ-**აცუ **ბ-**უგო „და ან ძმა (ცხოველის) არის“ და ა. შ.

ს- (<ს. ჯად. *ს-) ძირეული მორფემა აღნიშნავს ნაშიერს, შვილს ანუ აღნიშნავს ცნებას დამოუკიდებლად კლასის ნიშნისაგან (აფიქსალური მორფე-

მისაგან) — მისი კომბინაცია იძლევა: **ვ**-სთან „ვაჟიშვილს“, **ა**-სთან „ქალიშვილს“, **ბ**-სთან „რა კლასის ნაშეიერს“ (სინქრონიაში როგორც წესი — ხბოს, მოზვერს).

ც- (**ს. ლად. ც***) ძირეული მორფემა აღნიშნავს შენი ნულოვანი დონის სისხლით ნათესავს, შენი დედ-მამის შვილს, მისი კომბინაცია იძლევა: **ვ**- აფიქსალურ მორფემასთან „ძმას“, **ა**-სთან „დას“, **ბ**-სთან დას ან ძმას რა კლასის არსებობას.

ვ(ჟ), **ა** და **ბ** კლასის ნიშნები შეიძლება იმავდროულად სუფიქსებადაც მოგვევლინონ მაგ. ნაცვალსახელებში:

- I. **ვ**-უგო დო-**ჟ** „არის ის“ (კაცი)
- II. **ა**-იგო დო-**ა** „არის ის“ (ქალი)
- III. **ბ**-უგო დო-**ბ** „არის ის“ (არაპიროვნება) და ა. შ.

ან ზმნიზებებში:

- I. ჟანი-**ვ** „შიგნით“ (კაცში)
- II. ჟანი-**ა** „შიგნით“ (ქალში)
- III. ჟანი-**ბ** „შიგნით“ (რაიმეში) და ა. შ.

აქ კლასის ნიშანმა ადგილი შეიცვალა: პრეფიქსიდან სუფიქსად იქცა. აღნიშვნის პრინციპი კი უცვლელი დარჩა.


შესაბამისად, ყველა მორფემას, როგორც ძირეულს ისე აფიქსალურს, აქვს თავისი დამოუკიდებელი რეფერენტი ანუ დენოტატი თუ სიგნიფიკატი (აღსანიშნი) და თავისი აღმნიშვნელი.

ყოველივე ზემოთქმული სრულ შესაბამისობაშია ფერდინანდ დე სოსიურის მიერ წამოყენებულ ენობრივი ნიშნის ორივე პრინციპთან:

პრინციპი პირველი: ნიშნის ნებისმიერობა — „კავშირი, რომელიც აერთებს აღმნიშვნელს აღსანიშნთან, ნებისმიერია;... იგივე აზრი ჩვენ შეგვიძლია უფრო მარტივად გამოვთქვათ: ენობრივი ნიშანი ნებისმიერია“ (სოსიური 1977 : 100).

პრინციპი მეორე: აღმნიშვნელის ხაზოვანი ხასიათი — „აღმნიშვნელი, წარმოადგენს რა თავისი ბუნებიდან გამომდინარე სმენით აღქმადს, განფენადია მხოლოდ დროში და ხასიათდება დროისაგან ნასესხები ნიშნებით: ა) მას აქვს განგრძობითობა და ბ) ამ განგრძობითობას აქვს ერთი განზომილება — ეს ხაზია“ (სოსიური 1977 : 103).

თანაც, და ეს ანგარიშგასაწევი არგუმენტია, თუ ამოვალთ დებულებიდან, რომ ენობრივი ნიშანი შეიძლება ასე გამოისახოს:




მაშინ უნდა მოვახდინოთ ფაქტის კონსტატაცია — ენობრივი ნიშანი არა მარტო ცალსახად ნებისმიერია (არაგაპირობებული), არამედ ასევე ცალსახად არამოტივირებულიც.

მოტივირებული ენობრივი ნიშნების კომბინაციაა.

კერძოდ, ჩვენ არ ვიცით მოტივაცია, რატომ აღნიშნავს ძირეული მორფემა **კაც-** ადამიანს, ან რატომ აღნიშნავს აფიქსალური მორფემა **-ი** სახელობით ბრუნვას (ეს მორფემა საკუთრივ ქართულში **იგი** ნაწევრიდან არის წარმოშობილი, ვარაუდობდა აკაკი შანიძე, სინამდვილეში კი მისი რეკონსტრუირება სახელობითი ბრუნვის აფიქსად სრული უეჭველობით ხერხდება როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის, ასევე საერთო-ბასკურ-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეებზე), მაგრამ მოტივირებულია მათი კომბინაცია: **კაცი** და ა. შ.

ეს მით უმეტეს ითქმის ცალთანხმოვნიან ძირებზე. მაგ., რა თქმა უნდა, ქართველურ ენებში სრულიად ნებისმიერია და არამოტივირებული **თ-** ძირეული მორფემის კავშირი სინათლის სემანტიკასთან, მაგრამ აბსოლიუტურად მოტივირებულია მისი კომბინაციები აფიქსალურ მორფემებთან, რომელთა კავშირი, თავის მხრივ მათ მიერ აღნიშნულ სემანტიკასთან ასევე ნებისმიერი და არამოტივირებულია:



აქ მოყვანილი სიტყვებიდან ზოგი საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის კომბინაციაა, ზოგიც ჩვენს დროშია შექმნილი (მაგ., ახალი წელთაღრიცხვის XX საუკუნეში — **ნათურა**, **ასანთი** — ეს უკანასკნელი, გრიგოლ რობაქიძის თქმით, მისი ქმნილებაა) საერთო-ქართველური ქრონოლოგიური დონის მასალითა და კომბინაციის წესებით. მთავარია, რომ აღამიანმა, როგორც

ენობრივმა არსებამ, იცის მორფემათა სემანტიკა და მათი კომბინაციების მოტივირებულობა, ამიტომ მას შეუძლია ნებისმიერი კომბინაციის ჩატარება, მაგ., ნასესხები სიტყვის ჩასმა ბრუნებისა თუ უღვლილების პარადიგმაში და ა. შ. შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად აწარმოოს, ვთქვათ, სახელიც კი ზმნის პირიანი ფორმიდან:

მრწამს მე > მრწამს-ი „რწმენის სიმბოლო“
 არს ის > არს-ი „რაობა“, „არსება“
 ხერთვის ის მას > ხერთვის-ი „შესართავი“,
 „ნახევარკუნძული“, „კუნძული“
 და ა. შ.

რაც ხორციელდება ზმნის პირიანი ფორმაზე ბრუნვის ნიშნის დართვით. შეუძლია პირიქითაც, სახელიდან აწარმოოს ზმნა, მეტიც, მას ძალუძს დაუბრკოლებლივ მოახდინოს მისთვის უცნობი სემანტიკის ან სულაც სემანტიკის არმქონე სიტყვების კომბინირება ნაცნობ აფიქსალურ მორფემებთან, მაგ. ავანგარდისტულ ლექსში და დარწმუნებული იყოს რომ მკითხველისთვის შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს ძირეული მორფემის სემანტიკის დადგენა, მაგრამ ლექსიკურ ერთეულთა კვალიფიკაციას (ფორმაცვალებადობის მქონე ენებში) უპრობლემოდ მოახდენს:

შარდალს შორდება ძილი
 ძილდინა გაგულისდა
 დღისური ქანდაძირი
 მთვარეზე გასულისდა
 გოგონა მოგონა ხანძარი
 სოფელი მოფორა მოშარა
 თან სურდა სურდული ხვანჯარი
 თან შურდა შანდი და შროშანა

ქართველი ფუტურისტი პოეტის ნიოგოლ ჩაჩავას ეს ლექსი ზემოთქმულის დასადასტურებლად მოვიხმე; ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა როგორც სხვა ფუტურისტი თუ დადაისტი პოეტების ლექსის მოხმობა (ს. ჩიქოვანი, ვ. ხლებნიკოვი, ა. კრუჩიონიხი, ი. ზდანევიჩი და სხვ.) ასევე ფოლკლორული ტექსტების, ვთქვათ, შელოცვების, გათვლების და ა. შ. დამოწმებაც.

არცთუ იშვიათად როგორც ძირეულ, ასევე აფიქსალურ მორფემებს ახასიათებთ: ა) ალომორფების პოვნიერება; ბ) სინონიმურობა; გ) ომონიმურობა და ა. შ.

მორფემები ნებისმიერი, მაგრამ ცალსახა მარკერებია, ანუ ისინი წარმოადგენენ ფორმალურ თუ სემანტიკურ დეტერმინატივებს (*resp.* კლასიფიკატორებს), ხოლო მათი კომბინაციები მკაცრად მოტივირებულია, და, თავის მხრივ, ამ კომბინაციის მოტივირებულობაც მარკერის როლს ასრულებს.


მთავარი აქ ის არის, რომ სემიოტიკურ ლინგვისტიკაში ენობრივ ნიშნად მიჩნეული უნდა იქნეს არა ცნებისა და აკუსტიკური ხატის ერთიანობა, სადაც ენობრივ ნიშნად სიტყვა იგულისხმება, არამედ მნიშვნელობისა და აკუსტიკური ხატის ერთიანობა, სადაც მორფემა (ძირეული თუ აფიქსალური) გვევლინე-

ბა, სიტყვა მიიღება მნიშვნელობათა და მორფემათა კომბინაციით.
 ამ დაზუსტების პრინციპული ხასიათი მომდევნო მსჯელობაში იჩენს თავს.


1.2. ენობრივი ნიშნის სემიოტიკური იერარქიის კორექციისათვის.

ნიშნის სემიოტიკური მოდელი, რომელსაც ნიშნის სამგანზომილებიან მოდელადაც მოიხსენიებენ, ამერიკელი ფილოსოფოსის ჩარლზ პირსის (1839-1914) სახელს უკავშირდება, მოდელის რეანიმაცია კი — პირსის მიმდევარ ჩარლზ უილიამ მორისს.

მოდელს, ჩვეულებრივ, ასეთი გრაფიკული სქემის სახით გვთავაზობენ:



ან სამკუთხედის ფორმით წარმოადგენენ:
 პრაგმატიკა



ან, უბრალოდ, ჰორიზონტალზე შემდეგი იერარქიული თანამიმდევრობით განალაგებენ:

სინტაქტიკა > სემანტიკა > პრაგმატიკა

ტერმინებს კი ასეთი დეფინიციები ეძლევათ:

სინტაქტიკა — გულისხმობს (resp. იკვლევს) ნიშნის მიმართებას სხვა ნიშანთან;

სემანტიკა — გულისხმობს (resp. იკვლევს) მიმართებას ნიშნის შიგნით აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის;

პრაგმატიკა — გულისხმობს (resp. იკვლევს) მიმართებას ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის.

იგულისხმება, რომ ხდება კვლევის ასპექტთა იერარქიული, საფეხურებრივი ამაღლება მარტივიდან რთულისაკენ, უსრულიდან სრულისაკენ.

ჯერჯერობით ამ სამივე ასპექტის ცალსახად შემცველ სემიოტიკურ სისტემათაგან ჩემთვის მხოლოდ ორია უეჭველი: ენა და ი-ძინი (ამ უკანასკნელის სემიოტიკური სრულფასოვნების გამოვლენა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატისა და სინოლოგის თ. ნაკაშიძის დამსახურებაა).

ემილ ბენვენისტი თვლიდა, რომ „ენა გვაძლევს ერთადერთ მაგალითს სისტემისა, რომელიც სემიოტიკურია ერთდროულად თავისი ფორმალური სტრუქტურითაც და თავისი ფუნქციონირებითაც“ (ბენვენისტი 1974 : 86); **ი-ძინ**-ის სახით გამოვლინდა უკვე მეორე ასეთი მაგალითი.

ჩემი კვლევის საგანი ენაა.

ენა ნიშანთა სისტემაა (**resp.** ნებისმიერ ნიშანთა სისტემა).

ენობრივ ნიშანთა სემიოტიკური მოდელის იერარქიაში კი შეუწყნარებელი ჩანს სინტაქტიკის და სემანტიკის იერარქიული ურთიერთმიმართება, რასაც თეორიულ ლინგვისტიკაში, ჩვეულებრივ, ან უკომენტაროდ გვაწვდიან, როგორც ფაქტს, როგორც თავისთავად საგულისხმოს, ან, გრძნობენ რა ამ ლოგიკისტური თანმიმდევრობის არამართლზომიერებას, ლინგვისტური პოზიციიდან, ცდილობენ აბსურდული გამართლება მოუძებნონ, მაგალითად, ისეთი, როგორიც პირადად მეც მაქვს მოსმენილი ლექციაზე ავტორიტეტული უფროსი კოლეგისაგან, თითქოს შეიძლება გვკონდეს ან შეიძლება ხელოვნურად იქნეს შექმნილი ისეთი სისტემა თუ სისტემები, რომლებშიც იქნება ნიშანთა სინტაქტიკური მიმართებები, მაგრამ თვით ეს ნიშნები მოკლებულნი იქნებიან სემანტიკას.

აქ ცალსახად უნდა ითქვას შემდეგი:

ა) თუ ნიშანი (**ad hoc**. ენობრივი ნიშანი) არის განუყოფელი ერთობა ცნებისა და აკუსტიკური ხატისა, ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელისა — რასაც იკვლევს სემანტიკა. შესაბამისად, რაც არ წარმოადგენს ცნებისა და აკუსტიკური ხატის ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის განუყოფელ ერთობას, ნიშანი არ არის და არც სემანტიკასთან ექნება რაიმე კავშირი.


ბ) თუ გვაქვს რაღაც, რაც ნიშანი არ არის, მისი მიმართების კვლევა მეორე რაღაცასთან რაც ასევე არ არის ნიშანი, არ შეიძლება იყოს სინტაქტიკის კვლევის სფერო, რადგან სინტაქტიკა იკვლევს ნიშნის მიმართებას სხვა ნიშანთან (**resp.** ნიშნებთან).

გ) როგორ შეიძლება არსებობდნენ ან ჩვენ როგორ შეიძლება შევქმნათ სისტემები, რომლებშიც იქნება ნიშანთა სინტაქტიკური მიმართებები, თუ თვით ეს ნიშნები მოკლებულნი იქნებიან სემანტიკას — თუ ისინი იქნებიან მოკლებულნი სემანტიკას ანუ არ ექნებათ აღსანიშნი და აღმნიშვნელი. ე. ი. ისინი არ წარმოადგენენ ნიშნებს, ხოლო არანიშნები სისტემად არც თავისით გაერთიანდებიან და ვერც ჩვენ ვაქცევთ მათ სისტემად.

ზემოთ მე საგანგებოდ მოვიყვანე ფუტურისტული ლექსი, რათა მეჩვენებინა, რომ მორფემათა კომბინაცია ცალსახად განსაზღვრავს სემანტიკას (ცხადია, მნიშვნელობის და არა შინაარსის თვალსაზრისით).

და, შეუძლებელია არსებობდეს ნიშანი, რომლის სემანტიკა არ გამჟღავნდება სხვა ნიშნებთან ურთიერთობაში ანუ სინტაქტიკურ დონეზე.

შესაბამისად, ენობრივ (და ი-ძინის) ნიშანთა სემიოტიკური იერარქია ასეთი სქემით უნდა იქნეს წარმოდგენილი:



ან:

სემანტიკა > სინტაქტიკა > პრაგმატიკა

სემანტიკა გაგებული უნდა იქნეს როგორც **ნიშანი** სოსიურისეული დეფინიციით, ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის განუყოფელი ერთიანობა.

სინტაქტიკა — გაგებული უნდა იქნეს როგორც ენობრივი დირეზული სოსიურისეული დეფინიციით.

იგივე თვალსაზრისი უდევს საფუძვლად ჰუმბოლდტის მტკიცებას, რომ „ენათა შორის სინონიმურობა არ არსებობს“.


პრაგმატიკა — გაგებული უნდა იქნეს ჰუმბოლდტიანური ლინგვისტური ანთროპოლოგიის კონტექსტში — ადამიანი როგორც ენობრივი არსება (resp. ადამიანები, რომლებიც ცხვრობენ მათი ენით აგებულ სამყაროში).

ენობრივი ნიშნის კვლევის იერარქიული დონეები (resp. ხარისხები) ასე უნდა დალაგდეს:


1. სემანტიკა — ნიშანი (აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება):



2. სინტაქტიკა — ნიშნისა და ნიშნის (resp. ნიშნების) ურთიერთობა:
ნიშანი A ნიშანი B



ეს სინტაგმატიკაში, პარადიგმატიკაში შეიძლება ამგვარი რეალიზაცია გვეჩვენოს:



3. პრაგმატიკა — ნიშნისა და ადამიანის (*resp.* ერის) ურთიერთმიმართება. ენობრივი ნიშნის თეორიაში შემოტანილ იქნა „ნიშნის სისრულის“ ცნება, ეს ცნება ვითარდებოდა;

პირველ ეტაპზე სრულ ნიშნად გამოცხადებული იყო **სიტყვა** რაც, როგორც ვთქვი, სოსიურიდან მომდინარე ტრადიციას წარმოადგენდა.

მეორე ეტაპზე სრულ ნიშნად გამოცხადდა **წინადადება** (შესაბამისად, სიტყვა მიჩნეულ იქნა არასრულ ნიშნად, აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო არასრულ ნიშნად გამოცხადდა მორფემა). ამის საპირისპიროდ ემილ ბენვენისტი თვლიდა, რომ წინადადება არ არის ნიშანი, თუმცა შედგება ნიშნებისაგან.

მესამე ეტაპზე სრულ, მეტიც, საბოლოოდ სრულ ნიშნად გამოცხადდა **ტექსტი** (პეტერ ჰარტმანი), ტექსტის მომდევნო სრული ნიშნის არსებობა გამორიცხებულია, მის შემდეგ ნიშნობრიობა იკარგება.

ამ თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოყალიბდა თეორიული ლინგვისტიკის თანამედროვე განსაზღვრა — როგორც კომუნიკაციური **ლინგვისტიკის**, რომელიც ნიშნის სემიოტიკური მოდელისა (ჰორიზონტალი) და ნიშნის სისრულის იერარქიის (ვერტიკალი) გადაკვეთაზე მოიაზრება (ლებანიძე 1998):

სინტაქტიკა > **სემანტიკა** > **პრაგმატიკა**: კომუნიკაციური
ლინგვისტიკა
..
ტექსტი
^
წინადადება
^
სიტყვა

შემოთ, ვფიქრობ, ერთმნიშვნელოვნად ვაჩვენე ჩემი დამოკიდებულება, როგორც სინტაქტიკისა და სემანტიკის ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით სემიოტიკურ იერარქიაში და ამ იერარქიის კორექციის აუცილებლობის დასაბუთებაც წარმოვადგინე. ეს — რაც შეეხება ჰორიზონტალს, რაც შეეხება ვერტიკალს, ამასთან დაკავშირებითაც გამოვხატე ჩემი პოზიცია — კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პირველი ნამდვილი ნიშანი სიტყვაა, მაგრამ სემიოტიკური ლინგვისტიკის დონეზე ერთადერთი ნიშანი არის მორფემა; მორფემა **სრული ნიშანია**, რადგან ის შეიცავს როგორც აღსანიშნს (მნიშვნელობას), ასევე აღმნიშვნელს (აკუსტიკურ ხატს) და, რაც მთავარია, ნიშანს მოეთხოვება იყოს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ერთობლიობა, აღსანიშნის აღნიშვნა კი სულაც არ უდრის სახელდებას, ანუ ნომინაციას, და არც აუცილებლად გულისხმობს მას.

მატერიალურად მორფემა შეიძლება ემთხვეოდეს:

ა) **ფონემას** (ე. ი. წარმოდგენილი იყოს ერთი თანხმოვნის ან ერთი ხმოვნის სახით).

ბ) **სიტყვას** (როგორც ე. წ. იზოლირებულ ენებში, მაგ. ჩინურში, ასევე მორფოლოგიური კონსტრუქციის ენებში — უდეტრები).

ძირეული და აფიქსალური მორფემების კომბინაციამ შეიძლება მოგვცეს:

ა) სიტყვა

ბ) წინადადება (და არა მარტო ინკორპორაციულ ენებში)

ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება ნიშანთა კომბინაცია ანუ სინტაქტიკის საგანი

ლიტერატურა

ბენვენისტი 1974 – Benveniste E., *Общая лингвистика* (под редакцией с вступительной статьей и комментарием Ю. С. Степанова), Москва, "Прогресс", 1974.

გამყრელიძე 1972 – Гамкрелидзе Т. В., 1972. К проблеме "произвольности" языкового знака (вопросы языкознания, № 6, Москва, 1972).

ლებანიძე 1997 – გ. ლებანიძე, ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, „ენა და კულტურა“, თბილისი, 1997.

ლებანიძე 1998 – გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, „ენა და კულტურა“, თბილისი, 1998.

პირსი 1958 – Peirce CH. S., *Selected Writings*, ed. Philip Wiener, Dover Publication, 1958.

სოსიური 1977 – Saussure F. de, *Труды по языкознанию* (Перевод с французского языка под редакцией А. А. Холодовича), Москва: "Прогресс", 1977.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1979.

ჭირაქაძე 1995 – მ. ჭირაქაძე, ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორია და რაქეოლოგიური სისტემატიკა, თბილისი, 1995.

ჰუმბოლდტი 1984 – Humboldt W. von, *Избранные труды по языкознанию*. Перевод с немецкого языка под редакцией и с предисловием доктора филологических наук проф. Г. В. Рамишвили, Москва, "Прогресс", 1984.

MIKHEIL KURDIANI

Morphematic Theory of Language Mark

Summary

1.1. Language Mark Essence.

Ferdinand De Saussure brought language mark notion and announced “*language mark connects not a subject and its name but notion with acoustic icon*” and he explained there “*language words are acoustic icons for us*“. Basis of the theory we could find in Wilhelm Von Humboldt’s works (“*words must be recognized separate notion marks. There is unity of two aspects in the word – sound and notion*”).

Saussure’s definition is problematic on the spot: if language mark means unity of icon notion and acoustic, and, on the other hand, it is equal of the word. Is this word

form changing and does it cause change of acoustic icon in term of notion unchanging?

Represented by Mikheil Kurdiani new theory of language mark is in the frame of semiotic linguistics, which means: language mark connects not a notion and acoustic icon but meaning and acoustic icon and they are whole indivisible unity. Such language mark is revealed by author not a word but morpheme (stem and affix ones): morpheme as a language mark satisfies the principles of mark arbitrary (“*connection, which unifies marker with denotate, is arbitrar...*” Saussure), also, marker has a lineal character (“*it is by its nature perceivable through ear, disseminated only in time and is characterized as marks borrowed from time: a) it has duration and b) the duration has one parameter – this is the line*” - Saussure) and, that’s very important, meaning and acoustic icon is connected through it unchangeably and unambiguously.

Morpheme as a language mark is absolutely different mark and it is arbitrary but its combination (stem affix morpheme combinations) are led to and motivated.

1.2. For the correction of language mark semiotic hierarchy.

Semiotic model of the mark, which is mentioned as a 3D model, is connected with American philosopher name Charles Peirce, model reanimation – with his follower – Charles William Morris.

The model is distributed by hierarchy order: Syntactic>Semantic>Pragmatic. By existed definition Syntactic means (resp. searches) mark attitude towards other mark; Semantic – inside of attitude mark between marker and denotate; Pragmatic means (resp. searches) relationship between mark and its user.

2. In the hierarchy of language mark semiotic model is inadmissible relationship between syntactic and semantic, it should be as follows: Semantic>Syntactic>Pragmatic, where Semantic must be understood as a mark by Saussure definition or permanently unity of marker and denotate; Syntactic should be considered as a combination of mark rules or language value by Saussure’s definition (the same meaning is foundation corner of Humboldt’s theory “*there is not a synonymy among languages*”). Pragmatic should be considered inside of Humboldt’s linguistic anthropology context – human as a linguistic creature (resp. people who live in the space constructed by their language itself).